წელიწადი მე-3
ტელეფონი № 76.
შაბათი, 28 იანვარი, 1917 წ.

სამშობლო

ფასი 7 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მანეთი, თვიურათ 1 მანეთი და 50 კაპეიკი. ცალკე ნუმერი 7 კაპიკი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 5 მ. მარტის გასულს 5 მ. და 5 მ. 1 ივლ.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი პტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 25 კ., უკანასკნელზე 15 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითო ჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებელისა, ნაშუადღევის 2 საათამდის ღირს 5 მანეთი.
2 საათის შემდეგ 6 მანეთი

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 538 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 538

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა ჩვენს გაზეთზე 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 მ. 50 კაპ., **ცალკე ნუმერი** 7 კ.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე.
მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.
რედაქტორი—ი. თ. ცანცაძე.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ქნ. ს. მ. მიქელაძისა.
დეპეშისათვის ქუთაისი „სამშობლო“.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 26 იანვრიდან.
მხეცთა შორის. სანახაობა ფერადებით. **ძველი სახლის სული**
დრამა 5 ნაწილად პროლოგით ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 26 იანვრიდან.
მე 9 და უკანასკნელი სერია
ვამპირები (პაერის მპყრობელი). კინო რომანი 4 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **ამერიკელი ბიჭია** სახუმარო ნორდისკის მხატვრული სერიიდან

განცხადება.
ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ხსენებულ საზოგადოების ბ. ბ. წევრთ, რომ საზოგადოების წევრთა
საზოგადო კრება
დანიშნულია ამა წლის 29 იანვარს, დილის 10 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში. იმ შემთხვევაში თუ ეს კრება არ შესდგა, წესდების მე-35 მუხლის თანახმად მეორე კრება მოხდება მიმდინარე წლის 12 თებერვალს.
განსახილველია: 1, საკითხები საზოგადოების გახსნასთან დაკავშირებული; 2, მიმდინარე 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3. მოსამსახურე პირთა არჩევა.
ახალ წევრთა მიღება გრძელდება.
4—2

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა კურსები ც. გ. ფილოიანისა.
ორივე სქესისთვის
(თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

სახალხო არმოდგენა
ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი
ქალაქის თეატრი წარმ № 41
შაბათი, 28 იანვარი 1917 წ.
ჯიოკომეტი:
იუდითი
ტრ. 5 მოქმ. თარგმ. ი. მაჰავარიანისა.
მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.
რეჟისორი ალ. იმედაშვილი რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი
მორიგე წევრნი გამგეობისა პ. უზნაძე და ა. წერეთელი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოების გამგეობისა.
ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების დასი
ქალაქის თეატრი წარმ. № 42.
კვირა, 29 იანვარი 1917 წ.
ვ. შალიკაშვილი
გადაქრილი მუხა
4 მოქმედებათ.
მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ. ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.
რეჟისორი ალ. იმედაშვილი რეჟისორის თანაშემწე ალ. გუგუშვილი
მორიგე წევრნი გამგეობისა პ. მდივანი და გ. ლადიძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილების ფასი ჩვეულებრივია
ადმინისტრაცია დრამატიული საზოგადოებისა.

ექიმები:
დ. ა. ნაზაროვი ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს.

ა. დ. მაჰავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სპეცის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩიჩინაძის (წულეისკირისეული)

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ოდესის საბებიო კურსის დამთავრებული
ბებია **ს. ს. ნემსაძისა** ეტრის ყველას, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ჯაველაშვილის სახლი, ფოსტის მახლობლათ.

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვეცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი
გ. კოსტავას სახლი № 17. თ

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. №35, მიქელაძის სახლში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლოს“ ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელია ტელეფონი № 183

ს.-მ. ბ. მიწის მზომელი
ვ. ს. ასათიანი. ადგენს მამულების პლანებს აწედის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულთა შესახებ, მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „რუ.მ.“ და „სამ.“ რედაქცია; ან პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ, ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. თ.

პეტრე-პავლეს საყდრიდან თეთრ ხიდამდე
დავკარგე
სალდათ მსახურობის ბილეთი
მასთან მოწმობაც ვადის გადადებისა. მპოვნელს ვსთხოვ გადმომცეს ქუთაისში ორპირის ქუჩა, მათე კოსტავას დუქანში, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.
ნესტორ ბეკოსძე გეორხელიძე
3—1

ეთნოგრაფიული საზოგადოების საღამოს შესახებ.

დიდი მადლობის ღირსია ხსენებული საზოგადოების გამგეობა, რომ ამ საღამოს ეროვნული, ეთნოგრაფიული, ელფერი მისცა და სასურველია, ამგვარისავე საღამოების გამართვას წესად დაიდებდეს.

პირადად ჩემთვის ეს საღამო მარტო ეთნოგრაფიული მხრით კი არა, ესთეტიური სიამოვნების განცდის მხრითაც მეტად საინტერესო იყო.

მართალი სთქვეს საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ, ტრიფონ ჯაფარიძემ და საღამოს მომწყობმა ჩვენმა ცნობილმა მემუსიკემ კ. ფოცხვერაშვილმა. ჩვენებური, ეროვნული მუსიკა ბევრს, ვისი მუსიკური სმენაც გადაგვარებულია, არ მოეწონებაო: მათს სიტყვას მეც დავამოწმებ, არა როგორც მემუსიკე, არამედ როგორც ფსიქოლოგი: ვისაც ბავშობიდანვე ქართული მუსიკა არ უსწავლია ან კერძო სამუსიკო განათლება არ მიუღია, მის განუვითარებელ სმენას გურული კრიმანჭული, მუსიკური შემოქმედების ეს შედევრი, ტურების ჩხავილად მოეჩვენება!

საკვირველი კია, რომ ვისაც ეს კრიმანჭული ეჩოთირება, ის თავის ამ გვარ განცდას სმენის გადაგვარებას კი არა, ევროპულად განვითარებას მიაწერს!

მღვდლები წელს უკეთ გალობდენ, ვიდრე შარშან. ეს ალბად ვარჯიშობის შედეგია. მოვესწრებით კი იმ დროს, რომ გამშვენებულ საგალობლებს იგალობებენ, კანდელაკები, დუმბაძეები და მათი მოწაფეები რომ გალობდენ?!

დასასრულ ყოველი ქართველი, ვისაც კი ეროვნული სულის დაცვა უპირველეს მოვალეობად მიჩნია, კ. ფოცხვერაშვილის აზრს, ეროვნული გუნდის დაარსების შესახებ, დიდი თანაგრძნობით უნდა მიეგებოს. მართლაც, სულიერი სიმდიდრე, ჩვენთა წინაპართაგან ნაანდერძევი, რატომ უნდა დავკარგოთ. და, პირიქით, რისთვის არ უნდა აღვადგინოთ და არ უნდა განვავითაროთ?! რომელი სხვა საქმე შეედრება თავისი მნიშვნელობით ამ საქმეს?!

დიაღ! ამგვარი გუნდის დაარსება აუცილებელია და ამავე დროს სასწრაფო, რადგან ქუჩურმა შარმანკამ, ეროვნული მუსიკა ლამის მთლად წარყვნას, წალეკოს, წარეცხოს!

და კვლავ განვიმეორებ, რაც არა ერთხელ მითქვამს: ეროვნულ საქმეში თვითეულმა დაწესებულებამ და კერძო პირმა თავ-თავისი წვლილი უნდა შეიტანონ. მხოლოდ მაშინ ასდგება მკვდრეთით ჩვენი საეკლესიო გალობა და საერო სიმღერა, ჩონგური რომელმაც გუშინ ასე დაგვატკბო, სტვირი სხვა ეროვნული სამუსიკო იარაღი. მხოლოდ მაშინ გაილვიძებს ქართული ეროვნული სული და მიიპყრობს ქართული მუსიკა განათლებული მსოფლიოს ყურადღებას.

ვასილ წერეთელი.

მსოფლიო ომი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

ოფიციალური. 26 იანვარი. მტრის მფრინავებმა გადმოყარეს ყუმბარები იაკობშტადტის რაიონში, მოკლულია 7 და დაჭრილია 8 ჯარის კაცი. ორმა ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის პაეროდრომს კობილნიკში ტბის ნაროჩის ჩრდილოეთით. კირლი-ბაბას ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მოახდინეს თავდასხმა მტრის მიერ წამოწეულ თხრილებზე და ძლიერი იერიშის შემდეგ დაიპყრეს თხრილი. მტრის ორი როტის შემოტევა, რომ ჩვენ მიერ აღებული ადგილი დაებრუნებიათ უკუქცეულ იქნა.

რუმინეთის ასპარეზი.

სროლაა.

კავკასიის ასპარეზი.

მტრის ორი როტის ცდა იერიშით წამოსულიყვნენ ჩვენს ჯარზე საფერთან, რომელიც 25 ვერსის მანძილით არის დაშორებული დასავლეთით გიმიუშ-ხანზე. უკუქცეულ იქნა ჩვენი ჯარის მიერ.

ნიუიორკი. 24 იანვარი. სენატმა დიდი კამათის შემდეგ მიიღო კანონი რომელზედაც უილსონის დასტური არ იყო.

სტოკჰოლმი. 25 იანვარი. აქაურმა ჩრდილო ამერიკის ელჩმა შვეციის მთავრობას გადასცა ნოტა. რომლითაც უილსონი სთხოვს შეუერთდეს იმ გარდაწყვეტილებას რომელიც მიღებულია გერმანიის წინააღმდეგ.

პეტროგადი. 25 იანვარი. მის იმპერატორობითი უდიდებულესობამ კეთილ ინება სახალხო განათლების სამინისტროს მმართველის მოხსენებისამებრ ამა წლის 21 იანვარს, რომ ტაინი სოვეტნიკს შევიაკოვს დაენიშნოს მოადგილე, დაეკისროს მას სახ. განათლების მინისტრის ამხანაგის მოვალეობა.

პარიზი. 25 იან. საღამოს ოფიციალური ცნობა. მოხდა პატრულების შეტაკება სომმის სამხრეთით. დენეკურის რაიონში სუასონის აღმოსავლეთით და ვაიის ახლოს. არგონებში გერმანელებმა მოახდინეს თავდასხმა ჩვენს სანგრებზე, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. ძლიერი სროლა იყო კორტომის უბანში. ფრონტის სხვა მიმართულებაზე დღემ წყნარათ ჩაიარა.

ჰავრი. 25 იანვარი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. სამსკაპელნში, დისკმიუდეს რაიონში სტეენსტრატის ახლოს საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბავი.

საქველმოქმედო საღამო. სამშაბათს 31 იანვარს, ქალაქის თეატრში გაიმართება ფრიად საყურადღებო საღამო ქუთაისის ღარიბ ბავშთა სასარგებლოთ. საღამოს მართავს ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოება იმედია ქუთაისის საზოგადოება კვლავინდებურათ თავის თანაგრძნობას. არ მოაკლებს ამ საყურადღებო საღამოს და თავისი დასწრებით თავის წვლილს გაიღებს ღარიბ ბავშთა სასარგებლოთ.

✦ **რ. დათეშიძემ** ქალაქის გამგეობას გადასცა ამას წინათ მიღებული პურის ფქვილი. დათეშიძე ამ დღეებში კიდევ მოელის რამდენიმე ვაგონ ფქვილს.

✦ **როგორც გადმოგვცეს ფქვილის**

ვაჭარ ბ-ნ კაკიტელაშვილის 4 ვაგ. ფქვილისთვის გზაში რეკვიზიცია უქნიათ.

♦ **25 იანვარს**, სანიტარულმა კომისიამ უსუფთაობის გამო ოქმი შეუდგინა ივანოვის ქუჩაზე, ი. რიჟინაშვილს, გ. გველესიანს, პუშკინის ქუჩაზე: იონა ყენიას და ალექსი დეისაძეს.

♦ **29 იანვარს**, ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ ასი მანეთით დააჯარიმა მწვანე ბაზარში მოვაჭრე ავლიანე ბარქაია. მარილის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის.

♦ **სიმინდის უქონლობის** გამო ამჟამად ქუთაისის გუბერნიის მრავალი სოფლებიდან მცხოვრებთაგან არჩეულები აწყდება ქალაქს. ყველაზე უფრო დიდს იმედს იძლევა, რომ სიმინდს მალე მიაწვდის ხალხს ამიერ კავკასიის კავშირის განმანაწილებელი პუნქტიდან მოამბ. საზ. „რეგულიატორი."

♦ **თეთრი პურის ცხობა** ქუთაისში კვლავ გრძელდება, მაგრამ მალე გამოლევის შიშით ვისაც კი შეძლება აქვს პურს ზომაზედ მეტს ყიდულობს. ამის გამო ფურნეებს მრავალი ხალხი აწყდება. საჭიროა დარწმუნებულ იქნას ხალხი რომ პური ექნებათ მუდამ და ნუ აწყდებიან ფურნეებს.

♦ **ამა წლის 22 იანვარს** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რათა ჯარში გაწვევიდან განთავისუფლებულ იქნენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, რომლებიც დაბადებულნი არიან 1898 წელს მაგრამ ეს ვადის მაცემა ეხება მხოლოთ იმ პირებს, რომრებიც 1916 წ. 1 იანვრიდან ირიცხებიან სამსახურში.

♦ **გუშინ** შესდგა საურსათო კომისიის სხდომა, თხოვნების გასარჩევათ, რომლებიც შეტანილია სხვა-და სხვა კოოპერატივებისგან, რომ ფქვილი მისცემოდათ.

♦ ~~ჟელეზნოვოდსკში აღმოჩენილა ახალი რკინის წყლის წყარო, რომელიც თურმე იძლევა 10 ათას ვედრო წყალს დღეში. წყლის ტემპერატურა 25 გრადუსი ყოფილა.~~

♦ **გუბერნატორმა** ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზ. სოფ. კვახჭირში (ქუთ. მაზრა) „სიმართლე" და სოფ. სადემეტრაოში „სადემეტრაო"

♦ **ჭიათურის** წ. გ. საზ. შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართონ გახსნან სოფ. კაცხში უფასოწიგნთსაცავ სამკითხველო.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თბილისი. 26 იანვარს შესრულდა ორი წელიწადი აკაკის გარდაცვალების დღიდან. ამის გამო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კვირას, 29 იანვარს, მამა-დავითის ეკლესიაში, გადიხდის წირვას და პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

— ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ახალი შესწორებული წესდება გუბერნატორმა დაამტკიცა.

— **სიღნაღი.** ეს სამი კვირაა, რაც სიღნაღში სახადი და საოფლე გაჩდა. ბევრი ხალხი გახდა ავად. მძიმე ავად გახდა თვით სამაზრო ექიმი, რამაც ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა საზოგადოება. ქალაქის თვითმართველობა მარტო ახლა შეუდგა თადარიგს საოფლესთან საბრძოლველ ღონისძიებათა მისაღებად.

— **გორი.** ჩვენი მაზრის კოოპერატივების საყურადღებოთ: განმანაწილებელმა ბიურომ მიიღო ვაგონებით სიმინდი და ერთი ვაგონი შაქარი. გორის მაზრის კოოპერატივებმა უნდა მოიკითხონ ქ. გორში, სამეურნეო საზოგადოებაში.

— **მუხრავანი.** (თბ. მაზრა). სოფელ მუხრავანში, ერთ კლდეში, ამოჭრილია სამლოცველო, რომლის კედლები ძველი ფრესკებითაა შემკული, მხატვრობა ბევრგანაა დაზიანებული, მაგრამ საერთოდ კარგადაა შენახული. საჭიროა აქედანვე მიექცეს ყურადღება, რადგან მუხრავანში მცხოვრები რუსის გლეხები და იქვე დაბანაკებულნი ჯარის კაცნი, ხშირად დასეირნობენ სამლოცველოსკენ და ისედაც დაზიანებულ მხატვრობას უფრო აზიანებენ. საჭიროა ვინმემ გადიღოს ეს ფრესკები.

— **ბათუმი.** აქაური ოლქის საერობო აგრონომი ბ-ნი მაჰავარიანი ზემო აჭარის რაიონის საერობო აგრონომად ინიშნება.

— **ახალ-სენაკი.** საერობო აგრონომად დაინიშნა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებული ბოკერია.

— **ფოთი.** თებერვლის თვრამეტს თბილისის სასამართლო პალატის სესია ფოთში გაარჩევს საქმეებს იმ პირთა, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ.

იშვიათი საღამო.

26 იანვარს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებამ გამართა საღამო, დავით აღმაშენებელის ხსოვნის აღსანიშნავად. სიმღერა-მუსიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი კომპოზიტორი ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი. საღამო დაიწყო ბ-ნ ტრ. ჯაფარიძის სიტყვით. ლექტორმა მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველ ფორმებში აღნიშნა დავით აღმაშენებლის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე: მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ზრუნვა ერის ეკონომიურ, გონებრივ და ზნეობრივ კეთილდღეობაზე. დასასრულ სთქვა შემდეგი: ,,იქნება მრავალი მსმენელთაგანს ენამუშოს დღევანდელი მუსიკა-სიმღერის შინაარსი ესტეტიურის მხრით, მაგრამ ჩვენ მიზნათ დავისახეთ მოგასმინოთ არა ის, რაც ზოგიერთების გადაგვარებულ გემოვნებას მოსწონს, არამედ ის რაც ქართველ ერს მოსწონდა თავის შორეულ წარსულში''.

შემდეგ გვაჩვენეს ცოცხალი სურათი დავით აღმაშენებელისა. სცენაზე მოსჩანდა ეკლესია და ისმოდა სასულიერო გალობა. ღვთაებრივი საიდუმლოებით სავსე შთაბეჭდილებას სტოვებს საზოგადოთ ბ. ფოცხვერაშვილის დაუღალავი ენერგიით აღდგენილი ძველი ქართულ-სასულიერო სიმღერები და ამ საღამოსაც ასეთ საიდუმლოებას ეზიარა დამსწრე საზოგადოება.

მეორე განყოფილება დაიწყო ბ. კ. ფოცხვერაშვილის განმარტებით ქართულ მუსიკასა და ცეკვა-თამაშის შესახებ. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე იცის ამ ნიჭიერი კომპოზიტორის აზრი ქართულ მუსიკაზე. იმ ტრადიციულ შეხედულობის შემდეგ, რომელიც ჩვენს ხელოვნებაზე გაავრცელა ჩვენში მოხეტიალე უცხოელებმა. ძნელი მისადები და დასაჯერებელი შეგვექნა ბ. კ. ფოცხვერაშვილის თამამი მოსაზრება ქართულ მუსიკის უაღრესობაზე, ევროპიულ მუსიკასთან შედარებით. საკმაო ერუდიციის მქონე კომპოზიტორი გვიმტკიცებს, რომ ვერც ერთმა ერმა, გარდა ქართველი ერისა, მუსიკაში სიმფონია ვერ შემუშავაო. ევროპიულ მუსიკაში სიმფონია ხელოვნურად შეკერეს, ნოტებით შეისწავლეს, მაშინ როდესაც ქართველმა ერმა თავის შემოქმედების ბუნებრივი განვითარებით უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა მუსიკის ეს საუკეთესო მხარეო. ეს მოსაზრება დღევანდელ ქართველს, ენოთირება, უკვირს ლექტორის, ასეთი გამბედაობა. როგორ ჩვენებური საცოდავი ჩანგური უნდა შევადაროთ ევროპიულ ფორტოპიანებს და გურული ,,ოდელია'' კიდევ ბეთხოვენის სიმფონიასო? მაგრამ კომპოზიტორი მაინც თავისას არ იშლის. ევროპიული მუსიკა ყალბია, ქართული კი ბუნებრივიაო! ჩვენ მუსიკის თეორეტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ თუ ბეთხოვენის მადლიან ჰანგს შეეძლო უხეში ობობას სმენა მოეჯადოებია, მაშინ ჩვენს ესთეტიურ ბუნებას ის მაინც შეეძლება, რომ ,,ზე-კაცური'' ხელოვნების განცდა ორიოდე ღარიბ სიტყვებში გაშალოს. თუმცა ბ. ფოცხვერაშვილის მიერ ქართულ მონასტრების ნანგრევებში ამოკრეფილ ჰანგებში, დაუფასებელი და ეროვნულად გენიალურია სწორედ ის რასაც სიტყვები ვერ გამოსთქვამენ. სიტყვიერება უძლურია მუსიკის უშუალო გენიალობის გადმოცემაში. ვისაც სურს დარწმუნდეს ნიჭიერ კომპოზიტორის ფილოსოფიურ რწმენაში, რომ ,,ქართველებმა მუსიკით დათრგუნეს, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიკვდილი'', მან თითონ მოისმინოს და ეზიაროს ჩვენი ერის ღრმა სულიერ ყოფას, რომლითაც ხშირად გვატკბობს ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი.

შემდეგ განყოფილებებში გვაჩვენეს ჩვენი პოლიტიკურ-კულტურულ აღორძინების სიმბოლო ,,აკვანი ბაზალეთის ტბაში''. ,,ოქროს აკვანში'' მწოლარეს ჩვენს ეროვნულ სულს, ,,იავ-ნანას'' უმღეროდენ სირინოზები.. და ვეკითხებოდით მოთმინებით დამწვარ გულს ნეტა როდის შეიცვლება ეგ ხანგძლივი ძილის მომგვრელი იავნანა ბრძოლის ჰიმნათ?..

უკანასკნელად მოვისმინეთ გურულ-აჭარლთა სიმღერები, ჩანგური და ცეკვა-თამაში. თავის ლექციის შემდეგ ბ. ფოცხვერაშვილმა რამოდენიმე დამახასიათებელ მოტივებს გვაჩვენა გურულთა ხორის შემწეობით, რაც უკანასკნელებმა კარგათ შეასრულეს. რაც შეეხება ცეკვა-როკვას, ამასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს ჩვენი კომპოზიტორი. განსაკუთრებულათ აღნიშნა ,,საკისებური'' მოტივი ქართული როკვისა.

თეატრი მორთული იყო ხალიჩებით, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სურათებით, ძველი არქეოლოგიური ნაშთების ფოტოგრაფიული სურათებით და ვარდ-ყვავილებით. დამსწრეთ რთავდენ დაფნის ფოთლებით. სხვათა-შორის თეატრს სახელმწიფოებრივ სულს აძლევდა ძველებური თოფი, ჯავშანი და მუზარადი, ეს უძლიერესი საწინდარი ჩვენი გაუქმებული პოლიტიკური მორჭმულობისა,

ეგროსი.

სამეურნეო სასწავლებელი საქარაში

დაბა ზესტაფონის საზოგადოებამ იქონია მსჯელობა საქარის სანერგეში საშვალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ. თითქმის ერთხმათ სცნეს ასეთი სასწავლებლის დაარსების საჭიროება. სწადიათ დაარსდეს სპეციალური ტიპის — მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის და მეაბრეშუმეობის სასწავლებელი.

არჩეულ იქნა დროებითი კომისია რომელმაც უნდა შეიმუშაოს სასწავლებლის ხარჯთ — აღრიცხვა.

ათს თებერვლისთვის დანიშნულია ამ საგანზე სათათბიროთ საზოგადო ყრილობა. იბეჭდება და დაიგზავნება მოწოდების ფურცლები.

საქარის სანერგე და იქვე მდებარე სახელმწიფო მამული „არგვეთი" ნარგავებით და მზა შენობებით დაახლოვებით 400 500 ათასი მანეთი ღირს. აღნიშნული ტიპის სამეურნეო სასწავლებლის დასარსებლათ კიდევ საჭირო იქნება 300 ათას მანეთამდის. ამ ფულის ნაწილი ადგილობრივ უნდა შეიკრიბოს.

ამ საგანზე, რომ პატივცემული რედაქცია რამეს იტყოდეს და თავის სიმპატიას გამოუცხადებდეს ამ აზრის განხორციელებას ეს დიდი დახმარება იქნება. ამისათვის. ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ და გთხოვოთ კომისიის სახელით დაგვიხმაროთ თქვენის მსჯელობით.

მოგეხსენებათ ჩვენი უბედური ქვეყანა საოცრათ არის ჩამორჩენილი მეურნეობის მხრით და არავითარი დარგი მეურნეობისა რიგიანათ განვითარებული არ არის.

ხალხი მონდომებულია და სურვილი დიდი აქვს წინ მსვლელობისა. კარგი წინამძღოლები გვაკლია. არც იმოდენია 300 ათასი მანეთი, რომ ქვეყანას გაუჭირდეს. მაშ ბატონებო მოგვაწოდეთ თქვენი გამამხნევებელი მსჯელობა ამ საგანზე.

თქვენი პატივისმცემელი

კ. ბერეკაშვილი.*)

მოწოდება სამღვდელოებისადმი

მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის ჩარევამ ჩვენი ქვეყანაც დიდ გაჭირვებაში ჩააგდო, ხალხმა თავისი საუკეთესო შვილნი ომში გაისტუმრა; ოჯახი დაცარიელდა. დამუშავებული მიწის სივრცის შემცირებას ზედ დაერთო 2-3 წლის გვალვა, რომელი გაზეთიც არ უნდა წაიკითხოთ, ყველაში ყოველი მხრიდან დახმარების მუდარა ისმის. ჩვენსკენ ზემო იმერეთში, ხომ შიმშილობა ლამის არის ჩვეულებრივ მოვლენათ გახდეს, რაიცა ხშირათ გვქონია აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე და რასაც ვერც კოოპერატიულმა და ვერც კერძო ვაჭრების მიერ მოტანილმა პირნახულმა ვერ უშველა.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ მოხდეს საბლაღოჩინოების კრებები, სამღვდელოებამ, როგორც ხალხთან ახლო მდგომმა, ამ კრებებზედ უნდა გამოიტანოს შესაფერი დადგენილება, მთავრობასთან წარსადგენათ; მთავრობა, უნდა ვთხოვოთ მიიღოს ყოველნაირი საშუალება უზრუნველ ჰყონ ხალხი.

სამღვდელოების მოვალეობაა შუამავლათ გახდეს ხალხისა და მთავრობის შორის. დღეს ეს შეადგენს ჩვენს ზნეობას და კანონიერს მოვალეობას.

ვინ უნდა გააცნობიროს მთავრობას ხალხის ჭირ-ვარამი, თუ არა სამღვდელოებამ?

ნუ დავაყოვნებთ და გავმართოთ საბლაღოჩინო კრებები!...

მღვდელი **ვ. მ-ლი.**

მოწერილი ამბები.

ბორჯომის ხეობა.

თვალი გადაავლეთ ბორჯომის ხეობას და ნახავთ თუ როგორი მომხიბლველია და თვალწარმტაცი იგი. აქ მთა-ველი ხარობს, ილხენს, ნეტარობს და ყოველივეს ხიბლავს თავის მშვენიერებით. ვინ იცის თუ რამდენი სისხლი დაუღვრიათ აქ აზიის მეფეთ ტურფა კავკასიის ხელში ჩასაგდებათ.

ბუნების მშვენიერებასთან ერთად თქვენ გაკვირვებთ მცხოვრებთა გაჭირვება. მოხევეების მდგომარეობა კალმით აუწერელია. არც ერთი საქართველოს კუთხე ისე დაშორებული არ არის განვითარება—სწავლას, როგორც ეს ჩვენი მხარე. არც ერთი კულტურული დაწესებულება ამ ხეობაში არ არსებობს, არც სკოლა, არც წიგნთ-საცავ-სამკითხველო, არც მომხმარებელი საზოგადოება. ამავე დროს ხალხი შიმშილსაც სისტემატიურად განიცდის. ამის მიზეზი შემდეგია: ვინც დოვლათიანი და შემძლე ტანის ადამიანი იყო, ბრძოლის ველზეა. დარჩენილან ბებრები და ქალები, რომელნიც სულსა ლევენ აუტანელ შრომაში. ხალხს არ მოსდის საჭმელი პური; სიმინდი სულ არ მოდის; თუ მოდის ისეც უვარგისია. ამავე დროს საწყალ-მოხევეებს ტყავს აძრობენ სომხის ჩარჩ-ვაჭრები, რომელნიც სარგებლით ფულს ასესხებენ და შემდეგ ათ იმდენად უნგარიშებენ. მოხევეების მთელი კერძო საკუთრება სომეხ ჩარჩის ხელში გადასულა.

ეს ვაჭბატონები დაიარებიან სოფლად, როცა სახელმწიფო გადასახადის დრო მოაწევს. საწყალი მოხევე ფულის უქონლობის გამო ფულს ართმევს და ვალში ვარდება... მეტად სამგლოვიაროა მოხევეთა შინაური ცხოვრებაც. მათ არ სწამთ სიწმინდე. უსუფთაობის მსხვერპლი ბევრია. სოფლის ქუჩები საზიზღრად ყარს. როგორც თვით ამ ხეობის შეგნებული ნაწილი ისე სხვა მოძმე ქართველები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ მოხევეთა გათვითცნობიერებას და განათლებას...

პოლია ბანძელი.

აბასთუმანი. 16 იანვრიდან ელექტრონული განათება შემოიღეს, რომელიც დიდ შეღავათს აძლევს მცხოვრებლებს, რადგანაც ნავთი ხშირად არ მოიპოება. კოოპერატივიდან დაურიგდა ხალხს ფხვნილი შაქარი ორ-ორი გირვანქა სულზე, მთავრობის ბარათით; 1 გირვანქა 30 კაპიკად.

ზამთარი ძალიან ცუდია; ერთ ხანს მოთოვა, მაგრამ ხშირმა წვიმებმა მალე გაადნო, რამაც გამოიწვია საშინელი თოვლ-ჭყაპი. **კოტე გურგენიძე.**

კურსების მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის განყოფილება გაიხსნა სოფელ ცუცხვათში, რომლის გამგეობის წევრები არიან: თავმჯდომარე-მღვდელი დიონოს კუპრაშვილი, წევრები: ვლადიმერ ნოსელიძე, ვარლამ ქორქოლაძე, ივანე ცირეკიძე. ვუსურვოთ ამ უგზოობით ჩამორჩენილ სოფელში ახალ დაწესებულებას კეთილი ნაყოფი გამოეღოს.

ვლადიმერ ნოსელიძე.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

საყულია. (ქუთ. მაზრა) საყულია ქუთაისიდან 25 ვერსზეა. ძვირად შეხვდებით აქ მცხოვრებს, რომ საყოფი სიმინდი ქონდეს. ამას ზედ დაერთო ოთხფეხ საქონლისა და ფრინველის ჭირი. გლეხობა სულ ხელცარიელი დარჩა. აქ არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც განსვენებულმა სვანიძემ დიდი დახმარება აღმოუჩინა. არსებობს აფთიაქიც. მის გამგეს—ქ-ნ ელენე ლორთქიფანიძისას ხალხი ძრიელ ემადლიერება. აარსებენ კოოპერატივს და სამკითხველოსაც. საზოგადოებას საკრედიტო ამხანაგობაც აქვს.

—**სოფ. საგარეჯო.** (კახეთი) რამოდენი წელიწადია საგარეჯოელნი ფოსტის გახსნას ცდილობენ, მაგრამ ვერას გახდენ. მხოლოდ ბოლო დროს მთავრობამ აღუთქვა თხოვნის დაკმაყოფილება. წინადადება მისცა საზოგადოებას შენობის დაქირავებისა და დამზადებისა. საზოგადოებამ მთავრობის მოთხოვნილებ[illegible] ფერი შენობა ორი თვეა მზად არის, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვეღირსეთ მის გახსნას.

—**სოფ. ქეხილი.** (გორ, მაზ). ჩვენი გლეხების გაჭირება დღითი დღე მატულობს. საშინელ ომს კიდევ ბოლო არ უჩანს, გვაქვს ერთი სამრევლო სკოლა, ქველმოქმედი პეგიზოვის დახმარებით და რჩევით გახსნილი. წრეულს ამ სკოლაში სამოცამდე მოწაფე დაიარება. სწავლის წყურვილიც თან და თან ცხოველდება. 2 იანვარს სკოლის მოწაფეთ შობის ხე გაუმართეს. მოწვეულნი იყვნენ მოწაფეთა მშობლებიც. შეგირდებმა ლექსები წაიკითხეს. დასასრულს ბავშვებს ტკბილეულობა დაურიგეს.

—**სად. ჯუმათი.** მღვდელი ი. აფხაზავას ინიციატივით აქ დაარსებულია წიგნთსაცავ-სამკითხველო, ხალხიც დიდი აღტაცებით შეხვდა მის გახსნას და ყველამ თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინა. სამკითხველოს ნივთიერი და ყოველი მხარე საუცხოოთ მიდიოდა. სასიამოვნო იყო ბიბლიოთეკის საქმე. 1915 წელს შეუდგენ სამკითხველოსთვის შენობის აგებას, ხალხი დიდ სიხარულს გამოსთქვამდა, მაგრამ დღევანდელმა კრიზისმა საქმეს სასიკვდილო დაღი დაასვა. შეწყდა საწევრო ფულის მიღება, შეწყდა შემოწირულება და სამკითხველოს მოესპო საარსებო წყარო.

--**ერკეთი.** (გურია) 8 იანვარს ერკეთის ორ-კლასიანი სკოლის დარბაზში მოხდა საზოგადოების მცხოვრებთა კრება. კრების საგანს შეადგენდა: შიმშილობის, სკოლისა და ბოლნითის გზის საკითხები. სასურსათო საქმის მოხსენების და დამშეულ მცხოვრებთა მდგომარეობის გათვალწინების შემდეგ კრებამ საჭიროდ სცნო დამშეულ ხალხისთვის მოგროვდეს ფული. და ამით შედგეს საგანგებო ფონდი სიმინდის შესაძენად. ამის გამო კრებამ აირჩია რწმუნებულ-ხაზინადრად გიორგი ანთაძე.

—**ნიგოითი.** ჩვენ საზოგადოებას ყაჩაღების თარეშმა თავ-ზარი დასცა მათი შიშით დაბინდდება თუ არა, მცხოვრებლები გარეთ ვერ გამოდიან, სინთლები ყველგან ჩამქრალი აქვთ. საზოგადოება დრტვინავს მათი შიშის ქვეშ, გრძნობს დაბეჩავებას, მაგრამ ხმის ამოღება ვერავის გაუბედია, ამიტომ ყაჩაღთა თარეშს ფართო გზა გაეხსნა... ამ დღესასწაულებზე რამოდენიმე ოჯახი ააწიოკეს. საჭიროა ინტელიგენციამ ხმა ამოიღოს და იხსნას ხალხი ნაძირალების თავდასხმისაგან.

რუსეთი.

სასურსათო საქმის მომწესრიგებელ კამისიის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა ხორცზე მტკიცე ფასები შემდეგის სახით: პირველი ხარისხის ფუთ ხორცზე 16 მ. 30 კ.,—19 მ. 80 კა-მდე. მეორე ხარისხისაზე—15 მ. 30 კ.,—18 მ. 60 კ-მდე. ხოლო ცოცხალი საქონლის ხორცზე 8 მ.—9 მანეთამდე.

— გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა გახსნას გზათა მომწესრიგებელ ინჟინერთა მესამე ინსტიტუტი კიევში.

— რუსული გაზეთების ცნობით გამოჩენილი მოხელე და საშინაო პოლიტიკის მწარმოებელი, რომლის მეთაურობითაც დიდი შეხლა-შემოხლა სწარმოებდა პალატასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის—გადამდგარა სამსახურიდან.

— „რუსკ. სლ." იუწყება, რომ მთავრობასა და ტრეპოვს შორის მოლაპარაკება სწარმოებს. ტრეპოვი თანახმაა ისევ იკისროს მეთაურობა მთავრობის, მაგრამ შემდეგის პირობით: მთელი კაბინეტი უნდა განახლდეს, სამხედრო და საზღვაო სამინისტროს გარდა; მართველობისა და სახელმწ. სათათბიროს შორის შეთანხმებული თანამშრომლობა უნდა იქნას. ეს ასე მოხდება თუ არა ჯერ არ იციან, მაგრამ გოლიცინის მდგომარეობა, რომ შერყეულია ეს საეჭო აღარ არის. ფიქრობენ, გოლიცინი ისევ თავის ძველ თანამდებობას დაუბრუნდება სახ. საბჭოში.

— ახლო ხანებში განზრახული აქვთ სამთა-მადნო საქმეთა დეპარტამენტში მოწვეული იქნას კრება, სადაც გაირჩევა რუსეთის მადნეულ ადგილების ექსპლოატაციის საკითხი. მიწვეული არის კავკასიის მადნეულების გამგე. ფიქრობენ კავკასიის სამთამადნო მართველობის ძირიანად შეცვლის შესახებ. ბაქოში უნდა დაარსდეს კასპი-ურალის სამთამადნო გამგეობა, უმთავრესად ნავთის სამრეწველოთ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"

---

*) რედაქცია სიამოვნებით ეგებება ასეთ, მოვლენას ამ დღეებში გამოთქვამს თავის მოსაზრებას და სთხოვს სპეციალისტებს, თავისი აზრი მოგვაწოდონ ამ ფრიად საყურადღებო საგანზე
რედ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა